

სტუდენტური რეფერატი და მისი დანიშნულება თანამედროვე გერმანულ საუნივერსიტეტო სფეროში

მაგდა ლულუნიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. მიმართულება: გერმანული ფილოლოგია

ანოტაცია

სტუდენტური რეფერატი წარმოადგენს საუნივერსიტეტო სამეცნიერო ზეპირი ტექსტის სახეობის პროტოტიპულ ნიმუშს. მოცემულ ნაშრომში განხილულია, რა ფუნქცია, დანიშნულება და მიზნები აქვს გერმანულ სამეცნიერო საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტურ ზეპირ რეფერატს, რა დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა იგი, როგორი არის ზეპირი რეფერატის აგებულება და როგორ ხდება მისი რეალიზება კონკრეტულ ტექსტის სახეობებში. სტატიაში განხილულია ამასთანავე ჰენდაუტი (Hand-Out), როგორც გერმანული სტუდენტური რეფერატის შემადგენელი ნაწილი და აგრეთვე მოცემულია ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც გერმანულ სამეცნიერო საუნივერსიტეტო სივრცეში ზეპირი რეფერატის პრეზენტაციისა და რეფერატის შემდგომი დისკუსიის დროს გამოიყენება.

საკვანძო სიტყვები: რეფერატი, ჰენდაუტი (Hand-Out), დისკუსია

მეცნიერების ძირითადი იარაღს აკადემიური წერა წარმოადგენს. წერა არის ცოდნის გადმოცემის და საერთოდ კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება. აკადემიური წერა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და, აქედან გამომდინარე, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საუნივერსიტეტო სწავლებასთან. სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ეცნობა სამეცნიერო საუნივერსიტეტო ზეპირი და წერილობითი ტექსტების სახეობებს (ზეპირი რეფერატი, საშინაო დავალება, სამაგისტრო ნაშრომი), სწავლობს მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ფუნქციებს, გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების შემდეგ იწყებს შეძენილი ცოდნის გამოყენებას, ანუ მეცნიერულ მუშაობას. ამის შედეგად წარმოიქმნება სამეცნიერო საუნივერსიტეტო ტექსტების სახეობები, რომლებიც გარკვეული პრაგმატული და გრამატიკულ-სტილისტური თავისებურებებით გამოირჩევიან.

ზეპირი სამეცნიერო ტექსტის საუკეთესო ნიმუშს ანუ პროტოტიპს წარმოადგენს ზეპირი სტუდენტური რეფერატი, რომელის შესწავლას სტუდენტი უნივერსიტეტში შესვლისთანავე იწყებს.

რეფერატი, ზოგადად, წარმოადგენს საუნივერსიტეტო სამეცნიერო ზეპირი ტექსტის სახეობას, რომლის თემაც განისაზღვრება სასემინარო თემების მიხედვით, მისი ძირითადი ფუნქცია არის ინფორმაციის გადაცემა (informieren) ანუ სალექციო საკითხთან

დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე მეცნიერული წყაროს დამუშავება, გაერთიანება, შეჯამება და მსმენელისთვის გადაცემა. რეფერატს არ მოეთხოვება რაიმეს კვლევა, ახლის ძიება და მეცნიერული პრობლემების გადაჭრა. მის ინტენციას წარმოადგენს არა ტექსტის შექმნა არამედ რეპროდუქცია.

„Ein Referat erfüllt die Funktion, über den Inhalt eines oder mehrerer Texte zu berichten, es ist Information und Kurzfassung, es produziert nicht, sondern reproduziert den Aussagegehalt von Texten.“ [14]

რეფერატს ჰყავს განსაზღვრული მსმენელი, საუნივერსიტეტო სწავლების შემთხვევაში, ერთის მხრივ, ეს არის სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც გარკვეულ ცოდნას ფლობენ რეფერატის თემასთან დაკავშირებით და აქვთ რეფერატის მოსმენის გზით ცოდნის გაღრმავება და გაფართოების მოლოდინი და, მეორეს მხრივ, დოცენტი, რომელისთვისაც მოხსენების თემა როგორც წესი სრულიად ნაცნობია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად სტუდენტი რეფერატის პრეზენტაციის დროს უფრო დოცენტს მიმართავს, ვინაიდან მისგან მოელის რეალურ შეფასებას. [15]

გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში რეფერატის შექმნას არაერთი მიზანი აქვს. რეფერატის მომზადება მოითხოვს გარკვეულ სამეცნიერო თემაზე ინტენსიურ მუშაობას, თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას, კონკრეტულ შემთხვევაში რელევანტური სამეცნიერო ტექსტების არჩევა-დალაგებას, სხვადასხვა წყაროების ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათ კრიტიკულ განხილვას. აქედან გამომდინარე რეფერატი ემსახურება სტუდენტის კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის ამაღლებას [15]. გარდა ამისა, რეფერატის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს ზეპირი ფორმით აზრის თავისუფლად ჩამოყალიბება, ლოგიკური და დამაჯერებელი მსჯელობა წინასწარ დაწერილი თეზისების მიხედვით სრულყოფილი ტექსტის გარეშე. მიუხედავად ლექციის მსგავსი საკომუნიკაციო სიტუაციისა (ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ), რეფერატი ლექციას არ წარმოადგენს. რეფერენტი ორიენტირებულია იმაზე, რომ შექმნას საკომუნიკაციო გარემო, აიყოლიოს მსმენელი და ჩართოს ინტერაქციაში. სხვა ტუდენტური სამეცნიერო ტექსტებისგან განსხვავებით, რეფერატი არა მარტო ერთი სტუდენტის კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება, არამედ სხვა სტუდენტებიც იღებენ სასარგებლო ინფორმაციას და ცოდნას ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით.

რეფერატი შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად აღვწეროთ:

ტექსტის ნიმუში – სტუდენტური რეფერატი
(*Textmuster*) (*Studentisches Referat*)

ტექსტის ტიპი – აღწერილობით-განხილვითი
(*Texttyp*) (*deskriptiv-besprechend*)

ტექსტის ფუნქცია (*Textfunktion*)
- ინფორმირება (*Informieren*)

- თემის მეცნიერულად დალაგება (*ein Thema wissenschaftlich einordnen*)
- კონტაქტის დამყარება (*Kontaktieren*)

ინტენცია/ინტერაქციის მიზანი (*Intention/Interaktionsziel*)

- საგნობრივი პრობლემის დამუშავება-გადაჭრა.
(*Bewältigung einer Sachproblematik*)

ტექსტობრივი/ენობრივი ქმედებები (*Text-/Sprachhandlungen*):

- გამოხატვა (*Darstellen*)
- განმარტება (*Erläutern*)
- შეჯამება (*Zusammenfassen*)
- ციტირება (*Zitieren*)

მოქმედების სფერო/სოციალური სტატუსი (*Handlungsbereich/sozialer Status*)

- სტუდენტური მიზნობრივი ჯგუფი,
(*studentisches Zielpublikum*)

სიტუაციურობა/აქტუალური მიზეზი

(*Situationalität/aktueller Anlass*):

- სემინარის კონტექსტიდან გამომდინარე, სემესტრული პროგრამა
(*Seminarkontext, Semesterprogramm*)

კომუნიკაციის ფორმა (*Kommunikationsform*):

- დიალოგი (*Dialog*)

სტილისტური დონე (*stilistische Ebene*):

- სპონტანური ფორმულირება (*spontanes Formulieren*)

გერმანული საუნივერსიტეტო სფეროსათვის დამახასიათებელი ზეპირი რეფერატის დროს ინფორმაცია მართალია წინასწარ დამუშავებული და შესწავლილია, მაგრამ პრეზენტაციის პროცესი უფრო სპონტანურ ხასიათს ატარებს, წინადადებები მარტივია და მსმენელისათვის ადვილად გასაგები.

გერმანული რეფერატის სტილი არ არის მშრალი მეცნიერული, დოგმატური სტილი, მასში სრულიად ჩვეულებრივია ნორმებიდან გადახვევების შემთხვევები, იუმორისტული ჩართვებიც კი, რაც მეტად პოზიტიურად ფასდება. ასეთ შემთხვევაში პრეზენტაციის პროცესი უფრო საინტერესო, ცოცხალი და ნაკლებად დამღლევი ხდება და ინტერაქციულ ხასიათს იძენს.

გერმანული რეფერატი ძირითადად მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

თეორიული ნაწილი, პრაქტიკული ნაწილი, დისკუსია. ხშირია აგრეთვე დავალებები, რომლებსაც რეფერენტი ამზადებს მსმენელისათვის.

ყველა რეფერატი იწყება მცირე შესავლით, მისალმებით, საკუთარი თავის წარდგენით და რეფერატის თემის მოკლე მიმოხილვით. ამისათვის გამოიყენება უმეტესად ისეთი ენობრივი საშუალებები როგორცაა მაგალითად:

„Guten Tag, meine Damen und Herren. . .“
„Ich möchte heute ein Referat halten zum Thema. . .“
„Das Thema meines Referats lautet. . .“
„In meiner heutigen Präsentation werde ich euch . . . vorstellen.“
„Ich möchte euch einen kurzen Überblick über. . . geben.“
„Im folgenden möchte ich . . . darlegen.“
„Zuerst möchte ich euch meine Gliederung vorstellen. . .“ usw.

რეფერატის შესავალ ნაწილს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი დასკვნით ნაწილთან ერთად ქმნის გარკვეულ ჩარჩოს, ტექსტს ერთ დასრულებულ მთლიანობად აქცევს, ამიტომ შესავალი ნაწილი უმეტესად მარკირებულია.

რეფერატის დაწყებამდე მსმენელს აქვს მოლოდინი და შესავალმა ეს მოლოდინი უნდა გააძლიეროს. რეფერენტსა და მსმენელს შორის თავიდანვე მყარდება მხედველობითი კონტაქტი (*Blickkontakt*) ეს აიოლებს გაგებინებას, რაც კომუნიკაციის წარმატების წინაპირობას წარმოადგენს. სხეულის ენაც (*Körpersprache*) დიდ როლს თამაშობს, ჟესტებითა და მიმიკებით ადვილი მისახვედრია, რა არის აუდიტორიისათვის გასაგები და მისაღები და რა არა. მათ მიხედვით შეიძლება შეიცვალოს საუბრის ფორმა. თავიდანვე იქმნება ინტერაქციული გარემო. მსმენელს შეუძლია ნებისმიერ დროს შეაწყვეტინოს რეფერენტს ლაპარაკი, თუ რამეს ვერ გაიგებს, დასვას შეკითხვები ან სთხოვოს ამა თუ იმ ცნების განმარტება, აგრეთვე თუ ლაპარაკის ტემპი სწრაფია მიუთითოს.

რეფერატის შესავალს მოჰყვება მთავარი თეორიული ნაწილი. პრეზენტაციის დროს რეფერენტი იმისთვის რომ განსაზღვროს რეფერატის თემა, ერთმანეთს დაუკავშიროს რეფერატის ცალკეული ნაწილები, საკითხები და ლოგიკურად წარმართოს მსჯელობა რეფერენტი პრეზენტაციის დროს იყენებს შემდეგ ენობრივ საშუალებებს.¹

1. რეფერატის ცალკეული საკითხების გამოსაყოფად:

„Im Rahmen der/dieser Fragestellung werde ich auf folgende Punkte eingehen: Erstens: . . . / Zweitens: . . . / Drittens: . . .“

„Ich habe mein Referat in drei Teilen gegliedert: . . . / Mein Referat besteht aus drei Teilen. . .“

„Zuerst/ Zunächst spreche ich über. . ., dann komme ich zu. . ., im dritten Teil befasse ich mich dann mit. . .“

¹ მაგალითები აღებულია ზაარლანდის უნივერსიტეტში 2006 წლის I სემესტრში ჩემს მიერ მოსმენილი სამეცნიერო მუშაობის ტექნიკის (TWA) სემინარების მასალიდან

2. მთავარი ნაწილის ჩამოსაყალიბებლად:

„Als erstes wäre hier. . . zu nennen.“

„Außerdem. . ./ Ebenso. . ./ Ebenfalls. . ./ Des Weiteren. . ./ Hinzu kommt, dass. . .“

„Ein weiterer Aspekt/ Gesichtspunkt ist. . ./“

„Ferner ist zu erwähnen, dass. . .“

„Vor allem aber. . .“

„Besonders betont werden muss, dass. . .“

3. ერთი თემიდან მეორეზე გადასასვლელად:

„Ich möchte Euch noch auf einen anderen Aspekt aufmerksam machen.“

„Ich wende mich nun dem Thema X zu:“

„Als nächstes“

„Ich komme jetzt zum zweiten Teil.“

„Jetzt wollen wir uns dem zweiten Teil zuwenden.“

„Als nächstes möchte ich zu. . . übergehen.“

„Ich möchte jetzt übergehen zu. . .“

„Ein weiterer (wichtiger) Punkt ist. . .“

„Der nächste Punkt ist. . .“

4. მაგალითების მოსაყვანად, თვალსაჩინოებისთვის:

„Ich darf das mit einigen Beispielen belegen.“

„Ich erwähne in diesem Zusammenhang nur das Beispiel X“

„Hierzu ein Beispiel:“

„Ich nenne hier. . .“

„Stellt Euch einmal vor, dass. . .“

„Dies möchte ich anhand eines Schaubildes erläutern.“

5. რეფერატის შესაჯამებლად:

„Ich darf zusammenfassen: Ihr habt gesehen, dass. . .“

„Zusammenfassend möchte ich sagen, dass. . .“

„Bevor ich zum Schluss meiner Präsentation komme, möchte ich kurz die wichtigsten Punkte noch einmal zusammenfassen:“

იმისთვის რომ მსმენელს გაუადვილდეს რეფერატის შინაარსის გაგება, სწორად მიჰყვება ძირითადი თემატური ხაზის განვითარებას, თავიდანვე გაიგოს რაზეა ყურადღება გამახვილებული, რა არის მნიშვნელოვანი და რა ნაკლებმნიშვნელოვანი, რეფერენტი იყენებს თეზისების ფურცელს ე. წ. „ჰენდაუტს“ (Hand-Out/Thesenpapier), იგი ეძლევა თითოეულ სტუდენტს რეფერატის დაწყებამდე.

ჰენდაუტი გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში რეფერატის აუცილებელი ნაწილია. მისი ფუნქცია და მიზანია, რაც შეიძლება მოკლედ, კონკრეტულად,

დალაგებულად და სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს და მსმენელს გააცნოს რეფერატის შინაარსი და განსახილველი საკითხების თანმიმდევრობა. იგი ეხმარება თვითონ რეფერენტსაც, მიჰყვებს ძირითადი თემატური ხაზს (*roter Faden*) და ყურადღება გაამახვილოს ძირითად საკითხებზე. კარგად აგებული ჰენდაუტი გამოცდილ რეფერენტს კიდევ უფრო უადვილებს თავისუფალ მეტყველებას და საკითხზე გარკვეულ საბაზისო წარმოდგენას უქმნის იმასაც, ვისაც რეფერატი არ მოუსმენია. გარდა ამისა მეტად მნიშვნელოვანია, რომ მასში თავმოყრილი თეზისები და საკითხები საბოლოო დისკუსიის საგანი უნდა გახდეს.

მართალია ჰენდაუტს ყველა სტუდენტი ინდივიდუალურად ქმნის, მაგრამ

გ. მელჰორნი [19] გამოყოფს პუნქტებს, რომლებიც ყველასთვის საერთოა:

- ოფიციალური მონაცემები: სემინარი, ლექციის სათაური, დოცენტის სახელი, გვარი, რეფერენტის სახელი და გვარი, თარიღი.
- რეფერატის თემა
- აგებულება-დანაწილება
- დეფინიციები
- შეიძლება მაგალითები
- ციტატები (წყაროების მითითებით) - შესაძლებელია გრაფიკები, ტაბულები, დიაგრამები (აუცილებელი არ არის)
- ძირითადი ასპექტების შეჯამება თეზისების სახით
- გამოყენებული ლიტერატურა

მაგალითად:

Universität des Saarlandes

WS 2006/ 07

Fachrichtung 4.1.- Germanistik- DAF

Proseminar: „Textsorten und Medienkompetenz im Migrationskontext“

Leitung: Name des Dozenten

Referentin: Name des Referentin

რეფერატის სათაური ჰენდაუტზე განსაკუთრებით გამოკვეთილია, გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში არსებულ ჰენდაუტზე თვალსაჩინოა აგრეთვე რეფერატის აგებულებაც: რამდენი ნაწილისაგან შედგება რეფერატი, რა მთავარი და ქვესაკითხებია მასში განხილული, როგორ ვითარდება ძირითადი თემატური ხაზი და ა. შ. გარკვევით არის გამოყოფილი ძირითადი და ქვე პუნქტები. მაგალითად:

1. Afrikanische Zeitvorstellung

2. 1. Kategorien der afrikanischen Ontologie (Beispiel der Bantu Völker)

- *Mit Intelligenz begabte Kräfte MUntu: Gott, die Geister, die Verstorbenen, die Menschen, bestimmte Bäume*
- *Nicht aus sich selbst heraus handelnde Kräfte KIntu: Pflanzen, Tiere, Mineralien,*

etc.

- *Zeit und Raum HAntu: Lokalisierung des Seienden*
- *Modalität KUntu: Schönheit, Lachen, usw.*
- *NTÜ = das Sein selbst, die kosmische Universalkraft*

2.2. *Der traditionelle afrikanische Zeitbegriff*

3. *Zeitrechnung und Zeitbestimmung*

- *Der Tag*
- *Der Monat*
- *Das Jahr და ა. შ.*

გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში არსებულ ჰენდაუტზე მოცემულია მნიშვნელოვანი დეფინიციები და ციტატები, რაც აუცილებელია რეფერატის შინაარსის გაგებისთვის და ცოდნის გაფართოებისთვის ან მსჯელობის დამაჯერებლობისთვის. მითითებულია აგრეთვე წყაროები საიდანაც განმარტებები ან ციტატებია აღებული და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მათი გადამოწმება. მაგალითად:

„**Kultur** ist. . . das für eine Gruppe von Menschen gemeinsame Wissen und die daraus resultierenden Erwartungen hinsichtlich üblicher oder angemessener Denk-, Gefühls- und Verhaltenskonfigurationen.“ (Grosch/Leenen 1998)

an: **Textmuster**= „eine typische, regelhafte Verbindung von funktionalen, strukturellen, inhaltlichen und sprachlichen Merkmalen.“ (Esser 1998: 147)

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე საგნობრივი ცნებების განმარტებას, რომლებიც შეიძლება მსმენელმა არ იცოდეს და ამან ხელი შეუშალოს ძირითადი აზრის გაგებას.

მაგალითად:

„**Routinewissen**= Wissen von Routine (Grobgliederung)

Konzeptionswissen= Wissen von Merkmale und ihre Dominanz (Register, Funktion, Gliederung etc.) und um die funktions- und situationsadequate Anwendung

Realisierungswissen= pragmatisches Wissen im Sinne von Kommunikativer Kompetenz.“

გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული ჰენდაუტის სტილი არის მაქსიმალურად საგანზე ორიენტირებული და მშრალი. ძირითადი საკითხები, როგორც წესი, მოცემულია მოკლე თეზისების, საკვანძო სიტყვების ან მოკლე წინადადებების სახით.

მაგალითად:

1. *Gesteuerter und ungesteuerter Spracherwerb*

1.1. *Gesteuerter Spracherwerb*

- *gesteuertes Lernen*
- *bewusster oder intentioneller Erwerb*

- *NICHT: unnatürlicher Erwerb*
- *fremdgesteuert*
- 1. *2. Ungesteuerter Spracherwerb*
- *ungesteuert(er) Erwerb*
- *Aneignung ohne Unterricht*
- *beiläufiges oder inzidentielles Lernen*
- *natürlicher Erwerb*
-

გერმანულ ჰენდაუტზე დასკვნის ჩამოყალიბებაც მოკლედ და კონკრეტულად ხდება:

Zusammenfassung:

- *Textmusterwissen in Zusammenhang mit Sozialisation (Bildung, Umfeld, art des Spracherwerbs etc.)*
- *Textsorten können eine Mischung sein und in verschiedenen Kontexten auftreten (vgl. Auch gesteuerter und ungesteuerter Spracherwerb)*

ჰენდაუტს აუცილებლად ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (*Literaturverzeichnis*), რომელიც ეხმარება დაინტერესებულ სტუდენტებს თვითონ მოიძიონ ლიტერატურა ამა თუ იმ მათთვის საინტერესო საკითხზე, თუ სურვილი ექნებათ, უკეთესად გაეცნონ მათ ან გადაამოწმონ მოყვანილი არგუმენტების სისწორე.

ჰენდაუტზე გარდა მოცემული ინფორმაციისა, ხშირად არის დატოვებული ადგილი მსმენელისთვის ინდივიდუალური მინიშნებების გასაკეთებლად.

გერმანული რეფერატის ძირითად თეორიულ ნაწილს მოჰყვება პრაქტიკული მაგალითები, რაც ამყარებს და თვალსაჩინოს ხდის თეორიას. როგორც წესი საანალიზო მაგალითები თვითონ რეფერენტის მოძებნილი და დამუშავებულია.

ისევე როგორც თეორიული საკითხები, თეორიისა და მაგალითების შესაბამისობაც შეიძლება გახდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლის/ დისკუსიის საგანი. დისკუსია მაჩვენებელია რეფერატის წარმატებისა ან პირიქით წარუმატებლობისა ე. ი. თუ რეფერატს არ მოსდევს დისკუსია ის წარუმატებელია.

როგორც ცნობილია მეცნიერება ვითარდება განსხვავებული აზრების გაცვლა-გამოცვლაში, დისკუსიები კი ცოდნის შეძენისა და საკუთარი აზრის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ნორბერტ ფრანკის მიხედვით [14] სწავლა წარმატებულია მაშინ, თუ ხდება უკვე ნასწავლის გამოყენება. ამის გამოვლენის შესაფერის ფორმას დისკუსია წარმოადგენს.

როცა წაკითხული რეფერატი საინტერესოა და მაგალითებით მდიდარი, დისკუსიაც თავისთავად წარმოიშობება. ხშირად რეფერატის შემდეგ რეფერენტი თვითონ უბიძგებს მსმენელს დისკუსიისაკენ, მოუწოდებს მათ დასვან შეკითხვები, გამოთქვან საკუთარი აზრები ან რეფერენტი თვითონ სვამს კითხვებს. დისკუსიის დროს გამოიყენება შემდეგი ენობრივი საშუალებები:

დისკუსიის დასაწყებად:

- „Damit möchte ich gern die Diskussion einleiten.“
- „Diese Frage möchte ich gleich an den Anfang der Diskussion stellen.“
- „Habt ihr Fragen zu diesem Thema?“
- „Ich schlage vor, dass wir die Diskussion eröffnen. . .“
- „Was meint ihr zu. . .?“
- „Was versteht ihr unter. . .?“
- „Stimmt es, dass. . .?“
- „Weißt du, ob. . .?“

საკუთრი აზრის გამოსახატავად:

- „Ich glaube, dass. . .“
- „Ich finde/ meine. . .“
- „Meiner Meinung nach. . .“
- „Ich kann mir vorstellen, dass. . .“
- „Das scheint mir. . . zu sein.“
- „Ich habe den Eindruck, dass. . .“

თანხმობის გამოსახატავად:

- „Ich bin ganz deiner Meinung.“
- „Ich stimme dir voll/zum Teil zu.“
- „Ja, das stimmt, denn. . .“
- „Ich halte. . . für richtig.“
- „Ich bin auch der Meinung, dass. . .“
- „Das möchte ich unterstützen“
- „In diesem Punkt gebe ich dir recht.“

თანხმობა გარკვეული პირობით:

- „Ja, aber. . .“
- „Natürlich, aber. . .“
- „Es kommt darauf an, ob. . .“
- „Das mag richtig sein, aber. . .“
- „Wenn ich dich richtig verstehe. . .“

დაეჭვების გამოსათქმელად:

- „Ich weiß nicht, ob. . .“
- „Ich bin mir nicht ganz sicher.“

საწინააღმდეგო აზრის გამოსათქმელად:

- „Ich bin in diesem Punkt anderer Meinung“
- „Ich sehe das Problem anders.“
- „Deine Argumente überzeugen mich nicht ganz.“
- „Da muss ich dir widersprechen.“

„*Ich bin nicht damit einverstanden:*“

მსმენელის დასარწმუნებლად:

„*Meinst du nicht auch, dass. . .*“

„*Wie wäre es, wenn wir. . .*“

„*Stimmst du mir zu, wenn ich sage, dass. . .*“

დისკუსიის დასასრულებლად და შედეგების შესაჯამებლად:

„*Das bedeutet also, dass. . .*“

„*Daraus schließe ich, dass. . .*“

„*Das heißt, dass. . .*“

„*Das würde bedeuten, dass. . .*“

„*Man kann also sagen, dass. . .*“

რაც უფრო საინტერესო და თვალსაჩინოებით მდიდარია რეფერატი, მით უფრო ჯანსაღი და საინტერესოა დისკუსია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეფერენტს ხშირად წინასწარ აქვს დავალებები მომზადებული ჯგუფური მუშაობისთვის (*Arbeit im Plenum*). მსმენელები იყოფიან მცირე ჯგუფებად ან წყვილებად. თითოეული ჯგუფი ე. წ. პლენუმში ასრულებს გარკვეულ დავალებას, რომელსაც იძლევა რეფერენტი და რომელიც უშუალო კავშირშია რეფერატის თემასთან. ეს შეიძლება იყოს კითხვები რეფერატიდან, ან რაიმე პრაქტიკული სავარჯიშო და შემდეგ ჯგუფი მოკლედ ახდენს მიღებული შედეგების პრეზენტაციას. რეფერენტი კი თავის თავზე იღებს მოდერატორის ფუნქციას. ამით ხდება იმის გადამოწმება, თუ რამდენად და როგორ იქნა გაგებული რეფერატში განხილული საკითხები.

გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში ხშირია აგრეთვე ჯგუფური რეფერატები ერთ თემაზე (*Gruppenreferat*). ჯგუფური რეფერატის დროს რამდენიმე სტუდენტი ერთად ამზადებს მოცემულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისინი ერთმანეთში ინაწილებენ მასალას, საბოლოოდ ერთად აჯამებენ მიღებულ შედეგებს და თითოეული მათგანი ახდენს თავისი ნაწილის პრეზენტაციას მსმენელის წინაშე.

კვლევიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რეფერატს ერთის მხრივ აქვს „სავარჯიშოს“ დანიშნულება და ემსახურება სტუდენტის კვალიფიკაციის ამაღლებას, დისციპლინისათვის დამახასიათებელი დარგობრივი ცოდნის ათვისებას, ამა თუ იმ კვლევის მეთოდების გაცნობა – გამოყენებას, მეორეს მხრივ რეფერატის მომზადების დროს სტუდენტი იძენს ისეთ უნარებს, რომლებიც საჭიროა არა მარტო უნივერსიტეტში წარმატებული სწავლისათვის და დამამთავრებელი ნაშრომების შესაქმნელად, არამედ აუცილებელია ზოგადად მეცნიერული კვლევის საწარმოებლად და აგრეთვე შემდგომი პროფესიული წარმატებების მისაღწევად. აქედან გამომდინარე სტუდენტური რეფერატი გერმანული საუნივერსიტეტო სივრცეში მნიშვნელოვან ტექსტის სახეობას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა, ვიდრე დავალებას მისცემს სტუდენტს, აუცილებლად უნდა ასწავლოს მას რეფერატის შესრულებისა და

პრეზენტაციის წესები, რათა რეფერატის, როგორც სასწავლო მასალის შეფასების ერთ – ერთი ფორმის გამოყენებამ, შეასრულოს თავისი მიზნობრივი დანიშნულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adamzik, K./Niederhausen, J. (1999): Fach-/Wissenschaftssprache versus Gemeinsprache im Laiendiskurs und im linguistischen Fachdiskurs. In: Niederhausen, J./Adamzik, K. (Hrsg.) (1999): Wissenschaftssprache und Linguistik im Kontakt. Frankfurt a. M. (S. 15-37)
2. Auer, P. [Hrsg.](2007): Reden und Schreiben in der Wissenschaft . Frankfurt. a. M.
3. Beck, G. (2006): Rhetorik für die Uni. Frankfurt a. M.
4. Bramberger, A./Forster, E. (2008): Wissenschaftlich schreiben. kritisch – reflexiv – handlungsorientiert. Berlin.
5. Brink, A. (2004): Anfertigung wissenschaftlicher Arbeiten. Ein Prozessorientierter Leitfaden zur Erstellung von Bachelor-, Master- und Diplomarbeiten in acht Lerneinheiten. München/Wien.
6. Bunting, K.-D. (2004): Schreiben im Studium mit Erfolg. Ein Leitfaden. Berlin
7. Corsten, H. (2002) : Technik des wissenschaftlichen Arbeitens. München. Oldenburg.
8. Corsten, H./Deppe, J. (2008): Techniken des wissenschaftlichen Arbeitens. München/Wien
9. Disterer, G. (2005): Studienarbeiten Schreiben. Berlin
10. Eco, U. (2007): Wie man eine wissenschaftliche Arbeit schreibt. Doktor-, Diplom- Und Magisterarbeit in den Geistes- und Sozialwissenschaften. Heidelberg
11. Ehlich, K./Heller, D. (Hrsg.) (2006): Die Wissenschaft und ihre Sprachen. Bern.
12. Esselborn-Krumbiegel, H. (2008): Von der Idee zum Text. Eine Anleitung **zum** wissenschaftlichen Schreiben. Paderborn u. a.
13. Eßer, R. (1997): „etwas ist mir geheim geblieben am deutschen Referat“. Kulturelle Geprägtheit wissenschaftlicher Textproduktion und ihre Konsequenzen für den universitären Unterricht von Deutsch als Fremdsprache. München.
14. Frank, Norbert (2004): Rhetorik für Wissenschaftler. Selbstbewusst auftreten, selbstsicher reden. München.
15. Guckelsberger, Susanne (2005): Mündliche Referate in universitären Lehrveranstaltungen. Diskursanalytische Untersuchungen im Hinblick auf eine wissenschaftsbezogene Qualifizierung von Studierenden. München
16. Hunziker, Alexandre (2002): Spaß am wissenschaftlichen Arbeiten. So schreiben Sie eine gute Diplom oder Semesterarbeit. Zürich.
17. Langer, Inghard/Schulz von Thun, Friedemann/Tausch, Reinhard (2002): Sich verständlich ausdrücken. München, Basel.
18. Mach, Ernst (1978): Wissenschaftliche Kommunikation. Henn.
19. Mehlhorn, Gril (2005): Studienbegleitung für ausländische Studierende an deutschen Hochschulen. München
20. Sachleber, Susanne (1993): Die Organisation wissenschaftlicher Texte. Frankfurt a.M.
21. Thiele, Joachim (Hrsg.) (1978): Wissenschaftliche Kommunikation. Die Korrespondenz Ernst Machs. Düsseldorf.
22. Winter, Wolfgang (2005): Wissenschaftliche Arbeiten schreiben: Hausarbeiten, Diplom- und Magisterarbeiten, MBA – Abschlussarbeiten, Dissertationen. Bielefeld